პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 205 (6260)

1975 წ. 18 ოქტომბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# მეგობრობის დღესასწაული

თბილისში დაიწყო ლუბლიანის დღეები — სლოვენი და ქართველი ხალხების მეგობრობის დღეები. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სლოვენიის კომუნისტთა კავშირის ლუბლიანის საქალაქო კონფერენციის კომიტეტის მდივანი მარიან ოროჟენი.

სლოვენიის წარმოგზავნილებმა და მასპინძლებმა — ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს დიდი ლენინის ძეგლი.

რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა ლუბლიანის დღეების საზეიმო გახსნა. საღამოს გახსნისას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი მხურვალედ მიესალმა სლოვენ სტუმრებს საქართველოს მიწა-წყალზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლუბლიანის დღეები კიდევ ერთხელ მოწმობს იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მზარდ მეგობრულ ურთიერთობას. ჩვენი მეგობრობა, თქვა მან, დიდი ხანია გასცდა ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს და საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული აზრი შეიძინა მან მას შემდეგ, რაც გასულ წელს ხელი მოვაწერეთ ოქმს ლუბლიანისა და თბილისის თანამშრომლობისა და მეგობრობის შესახებ. ჩვენი ხალხების წარმომადგენელთა შეხვედრებში ყოველთვის იგრძნობა მეგობრობის სითბო. განა ქართველი ხალხისადმი დიდი სიყვარულის დამამტკიცებელი არ არის ის, რომ ლუბლიანაში გამოიცა პოეტ ტონე ავჩეკის მიერ სლოვენურად თარგმნილი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი", ხოლო საქართველოში გამოვიდა კრებული „თანამედროვე სლოვენი პოეტები".

ჩვენმა შეხვედრებმა საქართველოს მიწა-წყალზე, თქვა საპასუხო სიტყვაში სლოვენიის კომუნისტთა კავშირის ლუბლიანის საქალაქო კონფერენციის კომიტეტის მდივანმა, დელეგაციის ხელმძღვანელმა მარიან ოროჟენმა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა რეალური და მუდმივია. და ჩვენც ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი ამ წმიდათაწმიდა გრძნობის განმტკიცებას.

თბილისში ლუბლიანის დღეების საზეიმო გახსნას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

ამ დღეებს დაემთხვა ლუბლიანის „ბრესტის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდის ამხანაგური შეხვედრები თბილისის „დინამოსთან". პირველი შეხვედრის შემდეგ, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ მასალა, სტუმრებმა კიდევ ორი მატჩი გამართეს და ორივეში დამარცხდნენ — 87:95, 106:108. (ეს უკანასკნელი შეხვედრა გაიმართა გურჯაანში).

# ქართველ აკრობატთა გამარჯვება

ლვოვის სპორტის სასახლეში დამთავრდა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი სპორტულ აკრობატიკაში, სადაც ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების 150 სპორტსმენი ასპარეზობდა.

ვაჟთა წყვილებში სავალდებულო და ნებისმიერ ვარჯიშებში კარგად გამოვიდნენ ა. სლივკოვის აღსაზრდელები — დ. გაგოშვილი და ზ. ნიკოლაიშვილი. მათ 37,06 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს, ფინალურ შეჯიბრებაში კი 37,46 ქულით მეორედ დაიმსახურეს „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი.

ვაჟთა ჯგუფურ ვარჯიშებში საუკეთესონი იყვნენ გ. ალაპიშვილი, თ. ალაპიშვილი, გ. გაგოშვილი და წ. ბერაძე (მწვრთნელი ა. სლივკოვი), რომლებმაც 37,19 ქულით ასევე პირველი ადგილი დაიკავეს. მათვე გაიმარჯვეს ფინალურ შეჯიბრებაშიც (37,615 ქ.).

მ. ქელეხსაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



# 6 დღე თბილისში

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ტარდება ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც სპორტის ამ სახეობის მოყვარულებისთვის ცნობილია სახელწოდებით — „6 დღე თბილისში".

ამ ასპარეზობაში მეტოქენი ერთმანეთს ტრადიციულად ეჯიბრებიან წყვილთა ჯგუფურ რბოლაში 600 წრეზე 60 საშუალედო ფინიშით (ყოველდღე 100 წრე). მაყურებლებს საშუალება ეძლევათ, აგრეთვე, თვალყური ადევნონ ომნიუმსაც — 200 მეტრზე გიტს, სპრინტს, 2 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლას, ჯგუფურ რბოლებს 10 წრეზე და სხვ.

უკვე მესამე დღეა თბილისის ტრეკზე ძალებს ცდიან ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები კოლექტივები, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები.

ტურნირი ხვალ დამთავრდება.

სურათზე: წყვილთა რბოლის ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## სასიმოვნოს ჩემპიონატში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურის ტექნიკური მონაცემები.

„ლოკომოტივი" — „ფახთაქორი" 3:2 (1:1). უკვე მე-3 წუთზე კურნევის დარტყმის შემდეგ ბურთი რკინიგზელთა კარში აღმოჩნდა. გოლი ტაიმის დასასრულს გაქვითა პეტრაკოვმა, შემდეგ „ფახთაქორი" კიდევ ერთხელ გავიდა წინ (ისაკოვი), მაგრამ უკვე მაშინ, როცა მატჩის დასასრულს 4 წუთი აკლდა, გაზაევმა და ავერიანოვმა გამარჯვება მოუტანეს „ლოკომოტივს".

გაფრთხილებული არიან კორჩენოვი („ფახთაქორი") და რიაბოვსკი („ლოკომოტივი").

დუბლიორები — 0:0.

„ზენიტი" — „ტორპედო" 1:1 (1:1). ეს ფრე ტორპედოელთათვის დამარცხების ტოლფასოვანი იყო, ვინაიდან, გუნდმა უკვე ამოწურა ფრეთა ლიმიტი. მე-18 წუთზე მოსკოველთა კაპიტანმა იურინმა უშუალოდ კუთხური მოწოდებიდან გახსნა ანგარიში, მაგრამ კლემენტიევმა გაათანაბრა ანგარიში.

დუბლიორები — 1:1.

„ნეფთჩი" — „დნეპრი" 4:1 (2:0). ორჯერ გამოიჩინა თავი ამ მატჩში ბაქოელთა ვეტერანმა ბანიშევსკიმ, რომელმაც „დნეპრის" კარში გაიტანა მესამე და მეოთხე გოლები. სწორედ ეს მეოთხე გოლი აღმოჩნდა მისთვის მე-100 სსრ კავშირის ჩემპიონატებში და ბანიშევსკი „გ. ფედოტოვის სახელობის კლუბის" წევრი გახდა. მანამდე „დნეპრის" კარში ბურთები გაიტანეს ჯავადოვმა და შიხლაროვმა. 4 ბურთს დნეპროპეტროვსკელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (კოვალიოვი).

გაფრთხილებულია დნეპროპეტროვსკელი მატვიენკო.

დუბლიორები — 8:1.

„სპარტაკი" — „დინამო" კ. 0:2 (0:0). წარმატებას კიეველებმა მიაღწიეს მეორე ტაიმში. პირველი გოლი გაიტანა ბლოხინმა, ხოლო მეორე — ბესონოვმა.

გაფრთხილებული არიან მოსკოველი კოკორევი და კიეველი ბოლტაჩა.

დუბლიორები — 0:1.

„ჩერნომორეცი" — „დინამო" მ. 0:1 (0:1). ერთადერთი გოლი მასპინძელთა კარში გატანილი იქნა მინაევის მიერ მე-10 წუთზე.

დუბლიორები 0:1.

ცსკა — „ქაირათი" 2:0 (0:0). ალმაათელთა კარი პირველად 70-ე წუთზე აიღო ჩესნოკოვმა, ხოლო 75-ე წუთზე — ტარხანოვმა.

გაფრთხილებულია არმიელი ნიკოლაენკო.

დუბლიორები — 1:1.

„არარატი" — „შახტიორი" 1:1 (0:1). საპრიზო ადგილის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა — „შახტიორმა" ანგარიში გახსნა მე-18 წუთზე (სოკოლოვსკი), მაგრამ შემდგომში ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და საპასუხო ბურთი მიიღო სააკიანისგან.

დუბლიორები — 2:1.

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილები

### უმაღლესი ლიგა

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 26 | 16 | 6 | 4 | 39—20 | 38 |
| „შახტიორი" | 26 | 14 | 5 | 7 | 36—26 | 33 |
| „დინამო" მ. | 26 | 13 | 7 | 6 | 33—21 | 33 |
| „დინამო" კ. | 26 | 12 | 8 | 6 | 34—19 | 32 |
| „ჩერნომ." | 26 | 11 | 9 | 6 | 35—21 | 30 |
| „ტორპედო" | 26 | 11 | 9 | 6 | 30—21 | 30 |
| „სპარტაკი" | 26 | 11 | 5 | 10 | 34—30 | 27 |
| ცსკა | 26 | 11 | 4 | 11 | 30—34 | 26 |
| „ფახთაქორი" | 26 | 9 | 6 | 11 | 39—38 | 24 |
| „ზენიტი" | 26 | 8 | 8 | 10 | 29—38 | 24 |
| „ქაირათი" | 26 | 8 | 7 | 11 | 27—34 | 23 |
| „ნეფთჩი" | 26 | 8 | 6 | 12 | 26—31 | 22 |
| „ზარია" | 26 | 7 | 7 | 12 | 32—39 | 21 |
| „არარატი" | 26 | 7 | 4 | 15 | 16—36 | 18 |
| „ლოკომოტ." | 26 | 5 | 8 | 13 | 23—39 | 18 |
| „დნეპრი" | 26 | 6 | 3 | 17 | 20—36 | 15 |

### სათადარიგო შემადგენლობანი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 26 | 17 | 4 | 5 | 39—15 | 38 |
| ცსკა | 26 | 13 | 10 | 3 | 38—23 | 36 |
| „დინამო" მ. | 26 | 12 | 8 | 6 | 32—19 | 32 |
| „ნეფთჩი" | 25 | 12 | 6 | 7 | 36—27 | 30 |
| „შახტიორი" | 26 | 12 | 6 | 8 | 32—21 | 30 |
| „დინამო" კ. | 26 | 12 | 6 | 8 | 28—24 | 30 |
| „არარატი" | 26 | 10 | 10 | 6 | 35—24 | 30 |
| „ჩერნომორ." | 26 | 10 | 7 | 9 | 24—30 | 27 |
| „სპარტაკი" | 26 | 10 | 5 | 11 | 38—25 | 25 |
| „ტორპედო" | 26 | 10 | 5 | 11 | 37—33 | 25 |
| „ფახთაქორი" | 25 | 7 | 9 | 9 | 26—29 | 23 |
| „ქაირათი" | 26 | 7 | 8 | 11 | 29—35 | 22 |
| „ლოკომოტ." | 26 | 6 | 7 | 13 | 23—39 | 19 |
| „ზენიტი" | 24 | 5 | 8 | 11 | 25—42 | 18 |
| „ზარია" | 26 | 5 | 6 | 15 | 24—55 | 16 |
| „დნეპრი" | 26 | 0 | 11 | 15 | 17—42 | 11 |

## ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები

აშშ-ს ქალაქ გეზისბერგში ამას წინათ გამართულ ძალოსანთა მსოფლიო პირველობაზე ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა პირველი ადგილი მოიპოვა. საბჭოთა სპორტსმენების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა სომეხმა ათლეტებმა იური ვარდანიანმა და ვართან მილიტოსიანმა. ვარდანიანმა ამ ასპარეზობაზე მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი მილიტოსიანი კი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

• • •

სურათებზე: ი. ვარდანიანი (მარცხნივ) და ვ. მილიტოსიანი.





საბჭოთა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში სამსახურისთვის ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს გულმოდგინედ ემსახურება მეწზის დოსააფის საოლქო ორგანიზაცია, რომლის სპორტტექნიკურ კლუბებში ამზადებენ, აგრეთვე, სახალხო მეურნეობისა და ტექნიკური პროფესიის სპეციალისტებს.

სურათზე: მეწზის კლუბის წყალქვეშ ცურვის სპორტსმენები ა. ფომინი, ჰ. დურცვი და ო. დესიატოვი.

# „ახალგაზრდობას ესაჭიროება ჯანსაღი სპორტი"

**ძნელია დაასახელო ჩვენი სახალხო მეურნეობისა თუ კულტურული ცხოვრების რომელიმე დარგი, რომლის განვითარებაშიც კომკავშირს არ მიეღოს არსებითი მონაწილეობა. ცხადია, მისი ენერგია და ყურადღება არ მოაკლდებოდა ახალგაზრდული ცხოვრების ისეთ აუცილებელ მხარესაც, როგორიცაა ფიზიკური კულტურა და სპორტი.**

**საბჭოთა სპორტის განვითარების ისტორია ლენინური კომკავშირის გმირული ისტორიის განუყრელ ნაწილად იქცა და ახლა, ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავე რაზმის მე-60 წლისთავის ზეიმის დღეებში, მინდა მკითხველს გავახსენო საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პირველი ნაბიჯები და ის დიდი წვლილი, რაც კომკავშირმა გაიღო მისი განმტკიცებისათვის.**




**ბრძოლა** სპორტული ახალგაზრდობის ხელში ჩასაგდებად მეფის მთავრობამ და ბურჟუაზიამ განსაკუთრებით გააჩაღეს 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ჯერ იყო და, 1908 წლის იანვარში სამხედრო მინისტრმა სუხომლინოვმა მეფეს განსახილველად მიართვა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო აზრი მოსწავლე ახალგაზრდობის (უმთავრესად გლეხთა შვილების) სამხედრო-სპორტული მომზადების შესახებ. ნიკოლოზ II მოწონებით შეხვდა ამ წინადადებას და თავის განკარგულებაში აღნიშნა: „შემოღებულ იქნას სოფლად ბავშვთა სწავლება სამხედრო მწყობრსა და ტანვარჯიშში სათადარიგო და გადამდგარი ოფიცრების მოწვევით მცირე ხელფასზე"; მეფის წინადადებით ბავშვთა რაზმებს „ნიკოლოზ მეორის გასართობი რაზმები" უწოდეს. როგორც ცნობილია, მსგავსი სახელწოდების რაზმები გაიჩნდა ჯერ კიდევ პეტრე პირველს და მას „პეტრე პირველის გასართობი პოლკები" ერქვა. ამ პოლკებმა თავის დროს დიდი როლი ითამაშეს რუსეთის სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში. ნიკოლოზ მეორეც მსგავს მიზანს ითვალისწინებდა: ვინ იცის, იქნებ ამ არეულობისა და რევოლუციების ხანაში ჩემი სახელობის გასართობი რაზმებიც ისევე ამომიდგნენ მხარში, როგორც ეს პეტრე დიდის რაზმებმა გააკეთესო, — ფიქრობდა იგი.

მოიწვიეს ყოფილი ოფიცრები, განათლების სამინისტროს ჩინოვნიკები, სამღვდელო პირებიც კი, და დაიწყეს ბავშვებმა მეცადინეობა სამხედრო საქმეში, ტანვარჯიშში, სხვადასხვა სამხედრო თამაშობებში. იმისათვის, რომ დაეინტერესებინათ ბავშვები და მათი მშობლები. პერიოდულად მოწინავე რაზმებს იძახებდნენ პეტერბურგში საზეიმო დათვალიერებაზე, რომელშიც უშუალოდ ნიკოლოზ II იღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, პირდებოდნენ მშობლებს, რომ გასართობ რაზმებში მომეცადინე ბავშვებს შეუმცირდებოდათ არმიაში სამსახურის ვადები. მაგრამ მშობლებმა ჩქარა დაინახეს, რომ ეს რაზმები მეფის ინტერესების დამცველ საზარბაზნე ხორცს წარმოადგენდა და დაიწყეს ბავშვების მასობრივი გაყვანა რაზმებიდან; მეორე მსოფლიო ომის წინ რუსეთში არც ერთი რაზმი აღარ არსებობდა.

მართალია, „გასართობი რაზმების" იდეა ჩაიშალა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეფის მთავრობას ასულდგმულებდა მეორე იდეა, კერძოდ, ინგლისელების მაგალითზე „სკაუტების" რაზმების შემოღება. როგორც ცნობილია, სკაუტიზმი, როგორც ბავშვთა სამხედრო-სპორტული მოძრაობა, პირველად დამკვიდრდა ინგლისში 1908 წელს და ითვალისწინებდა ბურჟუაზიისათვის ერთგული ჯარისკაცების აღზრდას. სწორედ ეს ესაჭიროებოდა რუსეთის მთავრობასა და ბურჟუაზიას. მათ არ დააყოვნეს და 1910 წელს მდიდართა შვილებისაგან შექმნეს პირველი სკაუტური რაზმები. რაზმელებს ავარჯიშებდნენ სამხედრო მომზადებაში, სპორტულ თამაშებში, სოკოლურ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, და რა თქმა უნდა, ინგლისელების მაგალითისამებრ, აწარმოებდნენ მათ სათანადო იდეურ „წვრთნას". სკაუტები მომავალ ოფიცრებად მზადდებოდნენ. თუ „გასართობი რაზმები" შედარებით თოლად დაიშალა, სამაგიეროდ, სკაუტთა რაზმები ბოლომდე შემორჩნენ მეფის რუსეთს, და მათი დაშლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გახდა შესაძლებელი.

მეფის მთავრობამ, შემდეგ კი დროებითმა მთავრობამ, სხვა მხრივაც გამოიყენეს სპორტი ახალგაზრდობის გადაბირების მიზნით. მაგრამ ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს ქვეყნის ხელისუფალთა ამ ზრახვის წინააღმდეგ. კერძოდ, აღნიშნულმა საკითხმა გამოძახილი ჰპოვა რსდმპ VI ყრილობაზე, სადაც ბოლომდე იქნა გამომჟღავნებული ცდები ბურჟუაზიისა და მენშევიკური მთავრობისა, რომლებიც ცდილობდნენ მთელი რიგი ორგანიზაციების, და მათ შორის სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა წარმოეჩინათ როგორც „აპოლიტიკური" და განყენებული სოციალური და პოლიტიკური ინტერესებიდან.

პარტიის VI ყრილობის შემდეგ, დაიწყო რა გამალებული მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, მასობრივად ყალიბდებოდა მუშათა რევოლუციური რაზმები, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკურ მომზადებასთან ერთად ვარჯიშობდნენ სპორტის სხვადასხვა საჭირო სახეობებში.

ისე რომ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შექმნა-განმტკიცებისათვის, კომკავშირს (რომლის წარმომადგენლებმაც უკვე რევოლუციამდე გაიარეს ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი სკოლა) უკვე გააჩნდა საკმაო გამოცდილება ამ მხრივ. სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კომკავშირმა განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ფიზკულტურული მოძრაობის იდეური სიწმინდის, მეთოდური განმტკიცებისა და სხვა საკითხებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კომკავშირის საქმიანობა „ვსევობუჩის" ორგანიზაციების შექმნასა და შემდგომ განმტკიცებაში. შეიქმნა რა 1918 წლის 22 აპრილს, „ვსევობუჩი" კომკავშირის უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით აყალიბებდა ასეულობით რაზმებს ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში — რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, შუა აზიასა და კავკასიაში. 1919 წლის 2 ივლისს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას, რომლის მიხედვითაც სპორტსმენი-ვსევობუჩელებისაგან უნდა შექმნილიყო სათხილამურო რაზმები. წლის ბოლოს უკვე 75 სათხილამურო რაზმი იყო მზად. ცნობილი ფაქტია, რომ ბრძოლებში აღმოსავლეთის ფრონტზე ზამთრის პირობებში სათხილამურო რაზმებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს.

როგორც აღვნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჩვენს ქვეყანაში კიდევ არსებობდნენ ძველი სპორტული ორგანიზაციები და კლუბები, რომელთაგანაც ზოგი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ზოგი კი ლოიალობას ამჟღავნებდა. მათს შორის განსაკუთრებით აქტიურობდა რუსული სკაუტი. სწორედ ამიტომ იყო, რომ კომკავშირმა თავის II ყრილობაზე 1919 წელს სპეციალურად იმსჯელა ამ საკითხზე და მიიღო დადგენილება „ფიზიკური აღზრდისა და სკაუტიზმის შესახებ". ყრილობამ აღძრა შუამდგომლობა საბჭოთა მთავრობის წინაშე სკაუტური ორგანიზაციების დაშლის შესახებ. ყრილობამ, აგრეთვე, მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს გამოეყოთ პოლიტხელები, რომლებიც არმიაში გასაწვევ პუნქტებში და სამხედრო-სპორტულ კლუბებში ჩაატარებდნენ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას წვევამდელთა შორის. ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, კომკავშირის კომიტეტებთან შეიქმნა სამხედრო-სპორტული განყოფილებები.

ქვეყნის სხვადასხვა დიდი ქალაქების კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით რაიონებში მიემგზავრებოდნენ სპორტსმენთა ჯგუფები, რომლებიც აწყობდნენ მასობრივ გამოსვლებს ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე.

ლენინური კომკავშირის გმირულ ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს III ყრილობა, რომელიც 1920 წლის ოქტომბერში ჩატარდა. ვ. ი. ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვა საფუძვლად დაედო ყრილობის მუშაობას. ხელმძღვანელობდა რა ბელადის მითითებებით, ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ: „მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა ითვლება ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საერთო სისტემის აუცილებელ ელემენტად, რომელიც მიმართულია ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედი მოქალაქის აღზრდისაკენ. ამჟამად ფიზიკური აღზრდა უშუალოდ ითვალისწინებს შემდეგ პრაქტიკულ მიზნებს:

1. მოამზადოს ახალგაზრდობა შრომითი (საწარმოო) საქმიანობისათვის და 2. მოამზადოს იგი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის". ეს მიმართულება, კერძოდ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაქვემდებარება შრომისა და ქვეყნის თავდაცვის ამოცანებზე, დღესაც ასულდგმულებს საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ჩვენი ფიზიკური აღზრდის სისტემის საფუძვლის დასახელება — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის".

ამ პერიოდში კომკავშირს ფიზკულტურული მუშაობის სწორ ხელმძღვანელობაში დიდ დახმარებას უწევდა ვ. ი. ლენინის გენიალური მითითება, რომელიც დღესაც საფუძვლად უდევს ახალგაზრდობის ჰარმონიული აღზრდის ამოცანას.

1920 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ახალგაზრდობას განსაკუთრებით ესაჭიროება სიცოცხლის ხალისი და მხნეობა, ჯანსაღი სპორტი — ტანვარჯიში, ცურვა, ექსკურსიები, ყოველი სახის ფიზიკური ვარჯიშობანი; სულიერი ინტერესების მრავალმხრივობა, სწავლება, გარჩევა, კვლევა-ძიება, და ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად ერთად აღებული".

ასე იყრებოდა იდეური, მეთოდური და ორგანიზაციული საფუძვლები საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას; ფასდაუდებელია ლენინური კომკავშირის წვლილი ამ გიგანტურ საქმიანობაში.

**ა. ციბაძე,**
**დოცენტი.**

# აშხაბადში, 20 ოქტომბრიდან...

**თბილისის** უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის უფროსმა ლაბორანტმა ქეთევან ლოსაბერიძემ ქუთაისში 10 წლის წინათ დაიწყო მშვილდოსნობაში ვარჯიში. მისი მწვრთნელი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. ჯაშიაშვილი იყო.

მას შემდეგ ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა სსრ კავშირის თასი მოიგო, გახდა ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონი, მონაწილეობდა მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში.

დღეს ლოსაბერიძე მსოფლიოს რეკორდსმენია 50 მეტრზე სროლაში. ახლა ქეთევანს თავისი თანაგუნდელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი ვ. ტროპინი ავარჯიშებს. ახლა ორივენი დიდი მონდომებით ემზადებიან სსრ კავშირის თასის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც აშხაბადში 20-დან 26 ოქტომბრამდე გაიმართება.

აშხაბადში ქეთევანთან ერთად მისი მწვრთნელიც გამოვა „ცეცხლის ხაზზე".

• • •

სურათებზე: ქ. ლოსაბერიძე „ცეცხლის ხაზზე"; ქ. ლოსაბერიძე და მისი მწვრთნელი ვ. ტროპინი.

საჰაკოვის ფოტოები.





# ყველას დიდი აქვს სურვილი...

**სპორტის** ოსტატი, ნ. კალანდაძე 25 წელია ფიზკულტურას ასწავლის. ამჟამად იგი 123-ე საშუალო სკოლაში მუშაობს — მოზარდებს სპორტის სიყვარულს და პატივისცემას უნერგავს. მაგრამ კალანდაძის საქმიანობა მარტო ამით როდი შემოიფარგლება. იგი ნაყოფიერად უთავსებს მწვრთნელისა და მსაჯის მოვალეობას — მას ხშირად ნახავთ დედაქალაქის სტადიონებზე გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობების დროს.

ნუგზარს არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზრდია მძლეოსნობაში. მისი მოსწავლეებიდან ბევრს სხვა სახეობებშიც სათანადო ნიჭი გამოუჩენიათ. ვ. კანთელაძე სსრ კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატია კლასიკურ ჭიდაობაში — „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონს მძიმე წონაში კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ზ. ჰუსეინოვმა სპორტულ სიარულში წლეულს შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. ზ. ლოდია და ლ. კურბანოვი „ავაზას" ფეხბურთელთა გუნდის წევრები არიან... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სკოლაში კალანდაძის ხელმძღვანელობით მუშაობს მძლეოსნობის ორი ჯგუფი, მაგრამ იგი ასევე უნარიანად უძღვება კალათბურთის, ფრენბურთის, ტურიზმის, საერთო ფიზმომზადების ჯგუფების საქმიანობას. ამაში მას სკოლის აქტივიც ეხმარება. საერთო ძალით რეგულარულად ტარდება შიდასასკოლო შეჯიბრებები სხვადასხვა სახეობაში. წლევანდელ სასკოლო სპარტაკიადაში, რომელიც ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა, საპრიზო ადგილებზე გავიდნენ $X^3$, $VIII^2$ და $VII^1$ კლასების გუნდები. ამ სპარტაკიადამ ბევრი ნიჭიერი მძლეოსანი გამოავლინა. მათ შორის არიან მ. მუზაშვილი, მ. მიქაძე, გ. გოგშელიძე, რ. ვალიევი და სხვები.

მაგრამ სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი მარტო შიდასაკოლექტივო ასპარეზობებით როდი კმაყოფილდება. აქ კარგად იციან, რომ მოზარდთა დაოსტატებაში დიდ როლს ასრულებს საქალაქო და სარაიონო პირველობებში მონაწილეობა, ამიტომაც ხელსაყრელ შემთხვევებს ხელიდან არ უშვებენ.

სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის წარმატებებს ხელს დიდად უწყობს აქ სპორტის პროპაგანდის მაღალი დონე — მოსწავლეთა აქტიური დახმარებით მოუწყვიათ სსრ კავშირის სპორტული მიღწევების სტენდები. ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან, ვეტერანებთან. ერთ ასეთ შეხვედრაზე მოიწვიეს ბ. პაიჭაძე, გ. მერკვილაძე, დ. სანეევი, ლ. თედიაშვილი და სხვ. ბავშვებმა მათგან ბევრი რამ საინტერესო გაიგეს..

...სკოლის კოლექტივის საქმიანობა უფრო ნაყოფიერი იქნებოდა, რომ ბაზები საკმაოდ ჰქონდეთ. დარბაზი და პატარა მოედანი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მართალია 123-ე საშუალო სკოლის ასამდე აღსაზრდელი რაიონისა და თბილისის განათლების განყოფილებების სპორტსკოლების ფეხბურთის, კალათბურთის, ცურვის, მძლეოსნობის, ჭიდაობის, ველო სპორტისა და სხვა სექციებში მეცადინეობს, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში იმ დიდ სურვილთან შედარებით, რასაც აქაური ნორჩები იჩენენ.

**მ. კანჭიაშვილი.**

## ჭიდაობა

### საქართველოს სპარტაკელთა წარმატება

**სომხეთის** ქალაქ ოქტომბერიანში გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, სადაც 8 მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები ასპარეზობდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილმა გელა კოხოძემ (მძიმე წონა) 4 შეხვედრა მოიგო და შეჯიბრების ჩემპიონი გახდა. მანვე აბსოლუტურ წონით კატეგორიაში III ადგილი დაიკავა.

მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ა. ნოკარაშვილი, დ. მაირალოვი (60 კგ) და გ. ბექიაშვილი (71).

### გურიელი კვლავ ლიდერებშია

**ნიკოლაევში** სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის X ტურში ი. ლევიტინამ დაამარცხა ვ. სტერნინა, ნ. გურიელმა — ტ. მინოგინა, ე. ფატალიბეკოვამ — ლ. ზაიცევა. ნ. ტიტარენკომ — ლ. პოლნარევა, ტ. ჩეხოვამ — თ. ხუგაშვილი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხუთ ტურში გურიელმა 4,5 ქულა დააგროვა.

## ჭადრაკი

პედკო — წერეთლის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ათი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ლ. სემიონოვა (1 პარტია გადადებულია), ლევიტინა — 7,5-7,5, ფატალიბეკოვა, გურიელი — 6,5-6,5, ტიტარენკო, ტ. ვორონოვა (1), ლ. ლისენკო (1) — 5,5-5,5.

### ოცდამეთორმეტე პარტია გადაიდო

გუშინ ბაგიოში (ფილიპინები) გაიმართა ... კარპოვ — კორჩნოის მატჩის 32-ე პარტია. იგი არ დამთავრებულა და 41-ე სვლაზე გადაიდო.

ამ პარტიის დამთავრება მოხდება დღეს.

მატჩის ანგარიშია კვლავ 5:5 (21 ყაიმი).

# სასარგებლო ნაშრომი

**ამას** წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მეთოდურმა კაბინეტმა (გამგე ჯ. რატიანი) გამოსცა დოცენტ რ. სვანიშვილის მიერ შედგენილი მეთოდური მითითება — „ფიზიკური აღზრდის მედიკურ-ბიოლოგიური საფუძვლები“.

წიგნი, რომელიც გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის თეორიული კურსის სწავლებისთვის, შედგენილია ახალი პროგრამის მიხედვით. მასში განხილულია ყველა ის ძირითადი სამედიცინო და ბიოლოგიური საკითხები, რომელთა ცოდნა აუცილებელია ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინე პირთათვის. აღნიშნული მასალა ეხება, აგრეთვე, მშდ კომპლექსის ნორმატივების თეორიულ ნაწილს.

მეთოდური მითითება შეიცავს ცალკეულ თავებს. მათში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ფიზიკური ვარჯიშის ჰიგიენური საფუძვლები; ფიზიკური კულტურა და სპორტი შრომისა და დასვენების რეჟიმში; ფიზიკური აღზრდის ბიოლოგიური (ფიზიოლოგიური) საფუძვლები; საექიმო კონტროლი და თვითკონტროლი ფიზიკური აღზრდის პროცესში და სამკურნალო ფიზკულტურის საფუძვლები.

თითოეულ თავს მოსდევს საკონტროლო კითხვები, რაც საშუალებას იძლევა ადვილად მოხდეს ათვისებული მასალის შემოწმების ხარისხი. ეს კითხვები შეიძლება გამოყენებული იქნეს, აგრეთვე, პროგრამირებული მეთოდით გამოკითხვისას.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის თეორიული ნაწილის, კერძოდ მედიკურ-ბიოლოგიური საფუძვლების სწავლების საკითხი ჯერ კიდევ არაა სათანადო სიმაღლეზე. ამ ხარვეზის აღმოფხვრა დღეს უკვე შესაძლებელი ხდება, რადგან არსებობს რ. სვანიშვილის ზემოაღნიშნული მეთოდური მითითება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თეორიული კურსის სწავლებისთვის აუცილებელია, აგრეთვე, ფიზიკური აღზრდის პედაგოგიურ საკითხებზე მსგავსი მეთოდური მითითების შედგენა, რაც საშუალებას მისცემს უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს სასწავლო პროგრამის თანახმად სრულად აწარმოონ თეორიული კურსის სწავლება. ეს საკითხი გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას დასახული.

რ. სვანიშვილის მეთოდური მითითება მეტად სასარგებლოა და დიდ დახმარებას გაუწევს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს სტუდენტთა შორის თეორიული ცოდნის შემდგომი ამაღლების საქმეში. სამწუხაროა ის, რომ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას არ მიეცა საშუალება ეს ნაშრომი მეტი ტირაჟით გამოეცა.

**გ. დოლიძე,**
**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.**

## ჯანმრთელობის სპარტაკიადით

### ✦ აბაშა

რაიონის სპარტაკიადის პროგრამით მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში 11 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აბაშის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა აჯობა. II ადგილზეა № 84 პროფტექსასწავლებლის სპორტსმენები. III — სუჯუნის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები.

**რ. მანტურია.**

# მთამსვლელი, რომელსაც მთები არ იტაცებდა



შაქრო გაბისიანი. მთამსვლელი, სსრ კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი.

**შაქრო** გაბისიანის საარაკო ღონეზე რაღას არ ჰყვებიან. მის ფიზიკურ ძალაზე ლეგენდები დადის. აი რას ამბობს შაქროს შესახებ მისი თანაგუნდელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი აგი აბაშიძე:

„მთაში სიარულის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ექსპედიციაში არაერთ შესანიშნავ მთამსვლელს შევხვედრივარ, მაგრამ იშვიათად მინახავს ისეთი ფენომენალური ღონის პატრონი, როგორიც შაქრო გაბისიანია. ექსპედიციის დასასრულს, მრავალდღიანი მომქანცველი შრომისა და ჯაფის შემდეგ შაქრო ისე მხნედ გამოიყურებოდა, ისევ ისე იყო სავსე ენერგიით და ისევ ისე ემსუბუქებოდა ორფუთიანი ზურგჩანთა, როგორც ექსპედიციის დასაწყისში“.

მართალი გითხრათ, შაქროს სიძლიერეზე ეს სიტყვები გაზვიადებულ კომპლიმენტად ჩავთვალე. თურმე ვცდებოდი, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა მასთან ერთად რამდენჯერმე მომიხდა მწვერვალზე ასვლა. ახლა ერთი ამბავი მეც მინდა გავიხსენო:

საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ექსპედიციის წევრებთან ერთად შხარას მისადგომებთან ავდიოდით, ყველანი მძიმედ ვიყავით დატვირთულნი. ბარგი ხუთიოდე ცხენსაც ჰქონდა აკიდებული. მოულოდნელად ერთი ცხენი გადაგვივარდა, საბედნიეროდ, საღსალამათი გადარჩა, მაგრამ ცხენების პატრონებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ზემოთ წამომსვლელები აღარა ვართო. მეტი რა ჩარა იყო — ნაწილ-ნაწილ ბარგი ჩვენ უნდა ავეზიდა.

ვხედავთ შაქროს ერთი უზარმაზარი ზურგჩანთა მოუკიდებია. ზემოდან კიდევ ერთი შემოუდია. თან კისერზეც ჩაუკიდებია ბარგი. ხელებში ქვაბები უჭირავს და ციცაბო ფერდობს თხად მოკეცილი მიუყვება.

თვალებს არ დავუჯერე, მეგონა, ცოტაც და ილაჯ-გაწყვეტილი გზაში სადმე დავარდება-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ — შაქრო პირველი ავიდა მყინვარის ძირამდე, სადაც კარვები უნდა გაგვეშალა, შემდეგ უმალ ქვემოთ დაეშვა და ახლა ჩვენ მოგვეშველა.

მერე იყო და კიდევ ერთი მწვერვალი დავიპყარით. დაშვება რომ დავიწყეთ, შემოგვაღამდა. ირგვლივ მხოლოდ დიდი დაქანების ყინულოვანი ფერდობი იყო. მარტო ქვემოთ ილანდებოდა სვანური კოშკივით ამოტყორცნილი კლდე. კარვის დასადგმელად მასზე ასვლა გადავწყვიტეთ, ავედით კიდეც. მხოლოდ ერთი კარვის გასაშლელი ფართობი იყო. ფართობი კი იყო, მაგრამ ზედ სხვადასხვა ზომის ლოდები ეყარა. დავიწყეთ ადგილის მოსწორება. ბოლოს ერთ უზარმაზარ ლოდს ორნი შევეჭიდნენ, მაგრამ მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ცალ მხარეს ოდნავ გაუტარეს ქარი. შაქრომ უყურა, უყურა იმ ორს და...

— აბა, გამეცალეთ თქვე გლახებოო, — ხუმრობით თქვა და ორივე მისწი-მოსწია. შემდეგ იმ ლოდს მიუჯდა. მკლავები მარწუხებივით შემოაჭდო, მკერდამდე ასწია და ქვემოთ გადაუძახა.

ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ შაქრო გარეგნულად არავისგან არ გამოირჩევა. საშუალო სიმაღლისაა და როგორც იტყვიან ხოლმე, არც კუნთები ასკდება ტანზე.

არ იფიქროთ, შაქრო მხოლოდ ფიზიკური ძალით გამოირჩევა. იგი ტოლს არც ოსტატობაში დაუდებს ვინმეს. მაგრამ შაქროსთან ერთად სულ რამდენიმე მწვერვალზე ვყოფილვარ და ამიტომ, უმჯობესია კვლავ აგი აბაშიძის სიტყვები გავიხსენოთ:

„შაქრო გაბისიანი სრულყოფილად ფლობს ალპინისტურ ტექნიკას: თანაბრად ძლიერია კლდეზეც, ყინულზეც და თოვლზეც. ამასთან, დიდებულად გრძნობს თავს დიდ სიმაღლეზე, რასაც სასიმაღლო ალპინიზმში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება“.

სხვათა შორის, შაქრო გაბისიანის მთამსვლელის წიგნაკში თუ ჩაიხედავთ, ერთ კურიოზულ დეტალს აღმოაჩენთ—პამირში უფრო მეტი მწვერვალები აქვს დაპყრობილი, ვიდრე მშობლიურ მთებში. თუ მისი მედლების კოლექციას გადაავლებთ თვალს, იმასაც ვნახავთ, რომ ერთის გარდა ყველას პამირის ცათამბჯენების ელფერი დაჰკრავთ. აი ისინიც: 1973 წელი. პამირი. კორჟენევსკაიას პიკი (7105 მ) — ბრინჯაოს მედალი; 1975 წელი. პამირი. მოსკოვის პიკი (6785 მ) — ვერცხლის მედალი; 1976 წელი. პამირი. ეგრეთწოდებული „დიდი ნალის“ ტრავერსი (6000 მეტრის ფარგლებში) — ოქროს მედალი; და ბოლოს 1977 წელი. ჩვენი „ტანმორჩილი“ კავკასიონი. ჭიუხების ტრავერსი — ვერცხლის მედალი.

კიდევ ერთი დეტალი — შაქრო გაბისიანმა ხუთჯერ მიიღო მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატში და ოთხჯერ მედლები ჩამოიტანა, მეხუთედ წლეულს სცადა ბედი. ამ ჩემპიონატის შედეგები ჯერჯეროებით გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, იმედი გვაქვს თავისი მედლების კოლექციას კიდევ ერთ ძვირფას ლითონს შემატებს.

როგორც ხედავთ, შაქრო გაბისიანი ჭეშმარიტი მოსიმაღლე მთამსვლელია.

მისი პირველი „შვიდიათასიანი“ მწვერვალი ლენინის პიკი იყო. ამ ლაშქრობის შესახებ ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი და პრიზიორი გიორგი ახვლედიანი იხსენებს:

— 1970 წელს სერგო ბარლიანი, შაქრო გაბისიანი და მე პირველად მივდიოდით „შვიდიათასიან“ მწვერვალზე — ლენინის პიკზე, ამ მწვერვალის სიმაღლე 7134 მეტრია. ჩვენი ხელმძღვანელი ჯუანშერ მუსელიანი იყო. გზა საუვდარის მყინვარზე გადიოდა. ჯერ კიდევ ქუთაისში, ცნობილმა მთამსვლელებმა ლევან ახვლედიანმა და გივი ყალაბეგიშვილმა გვითხრეს, მაგ რაიონში ამ ათი წლის წინათ ვიყავით და ამა და ამ გზაზე ასე და ასე უნდა იაროთო. ჰოდა, აი ჩვენც საუვდარის მყინვარზე ვართ, დაახლოებით 4500 მეტრის სიმაღლეზე, მაგრამ აღწერილობის მიხედვით ვერა ვცნობთ. მოგეხსენებათ, მყინვარები მოძრაობენ და, ამდენად, მათი რელიეფიც იცვლება. სწორედ ამ ფერისცვალების გამო იყო, რომ საუვდარის მყინვარის გავლას ორის მაგივრად ოთხ დღეს მოვუნდით. შაქრო ბეჭემოტის პირივით ხახადაღებული ნაპრალების თავზე საოცრად მარჯვედ პოულობდა გადასასვლელ ადგილს. სადაც ეს შეუძლებელი იყო, ნაპრალებში ეშვებოდა, გადაღმა ადიოდა და დანარჩენებისთვის თოკს აბამდა. ამ საქმეს არავის ანებებდა. ერთ ღამეს, როცა მყინვარზე ვათენებდით, მოულოდნელად ყრუ გუგუნი გაისმა. თითქოს მყინვარი იძრა და სადღაც შორიდან თუ მიწის გულიდან ზარბაზნების ბათქაბუქი ისმისო. ყველანი გულგახეთქილნი წამოვცვივდით და კარვიდან გავარდნა დავაპირეთ. შაქრომ საძილე ტომრიდან თავი წამოყო და გვითხრა, რა მოხდა, რა გაყვირებთ, სად გარბიხართ, მყინვარზე ახალი ნაპრალები ჩნდება, რამ შეგაშინათო. გამაოცა მისმა სიმშვიდემ. მერე იყო და ვხედავთ, რუსი ალპინისტები თანაგუნდელს მხარში ამოსდგომიან და მწვერვალიდან ეშვებიან. იმ ერთს მთის ავადმყოფობა შეჰყროდა. საშინელი სანახავი იყო, დროდადრო გული ერეოდა, ცოტა ხნის მერე ახლა მეორე ჯგუფი დავინახეთ. ასეთსავე დღეში იყვნენ. ამის შემხედვარემ ხმამაღლა გავიფიქრე: „რომ მივდივარ, სად მივდივარ. ზემოთ ამსვლელი აღარა ვარ-მეთქი“. შაქრომ ეს რომ გაიგო, ერთი შემომიბღვირა, წარბშეკრული მომიღერა და დამექადნა, ნუ წუწუნებ, თორემ ამას ხომ უყურებო... მისმა სიმტკიცემ და შეუპოვრობამ დამამშვიდა. ამის შემდეგ მწვერვალზეც ავედით და მშვიდობითაც დავბრუნდით. ოღონდ ეგ იყო, წონაში ხუთ-ხუთი კილოგრამი დავიკელით. თუმცა ეს ჩვეულებრივი ამბავია“.

ახლა კიდევ ერთი მომენტი მინდა გავიხსენო, რომელიც შაქრო გაბისიანის კეთილი ბუნების ხასიათს ერთ დიდ შტრიხს მატებს.

მთამსვლელები, ყოველი თანრიგის შესრულების შემდეგ უფრო რთულ მწვერვალზე ადიან. თავიანთი პირველი, ვთქვათ მე-4 ან მე-5 კატეგორიის სირთულის მწვერვალებზე ასვლისას ალპინისტები ცდილობენ ჯგუფში გამოცდილი მთამსვლელი შეიყვანონ, რომელიც მათზე გაცილებით ძლიერია. ის ერთი კაცი იმედად სჭირდებათ, მაგრამ, მოდი და, თუ ბიჭი ხარ, დაიყოლიე ასეთი კაცი, მით უმეტეს მაშინ, თუ ასალებ მწვერვალზე ერთხელ ან უფრო ბევრჯერ ყოფილა. ერთხელ, როცა შაქროს სთხოვეს, აილამაზე მე-5 კატეგორიის გზით გამოგვყევიო, უმალ დასთანხმდა. ეგ კიდევ არაფერი, როცა მწვერვალიდან ეშვებოდნენ, შაქრომ მეორე ჯგუფს რადიო კავშირით აცნობა, ვიცი თქვენც აილამას დაპყრობას აპირებთ მე-4 კატეგორიის გზით. დაიწყეთ ამოსვლა, პლატოზე შეგხვდებით, იქ ერთ დღეს დავისვენებთ და ახლა თქვენ გამოგყვებითო. და ეს მაშინ, როცა ამ მარშრუტებით შაქროს უკვე გადატკეპნილი ჰქონდა მწვერვალი.

ამ წერილის დაწერა რომ გადავწყვიტე, შაქროს ათასი შეკითხვა მივეცი. ერთხელ, მაღლა მთებში, კარავში კბილებს რომ ვაკაწკაწებდით და თვალს რული არ ეკარებოდა, მთელი ღამე ვსაუბრობდით, ახლა ის საუბარი უნდა გავიხსენო:

— შაქრო, რისთვის დადიხარ მთებში? ოღონდ იმ ფრანგი მთამსვლელის სიტყვები არ შემახსენო, ჟურნალისტებს რომ უთხრა: „თუნდაც იმისთვის, რომ ასეთ ბრიყვულ შეკითხვებს იქ არ იძლევიანო“.

იცინის და მეუბნება:

— აბა, რა ვიცი, ყველაზე კარგი ისაა, რომ მთებში საქართველოს ყველა კუთხის ადამიანი გავიცანი.

— კი მაგრამ, მაგას ხომ ბარშიც მოახერხებდი?

— მთაში გაცნობილი კაცი სულ სხვაა. აქ ადამიანის შეცნობაში არ შეცდები.

— შიში თუ გიგრძვნია მთაში?

— ო, არა! კაცს რომ მაგალითად, ბერგშრუნდის (ფერდობზე გაჩენილი ნაპრალი) პირას ფეხი აუკანკალდეს, იმისი საქმე წასულია, მთამსვლელობას თავი უნდა დაანებოს. მეც უმალ ასე მოვიქცევი, თუ კი შიშს ვიგრძნობ.

— მთაში გაჭირვება მუდამ თანა სდევს ალპინისტს. მაინც, როდის გაგიჭირდა ყველაზე მეტად?

— ამაზე საუბარი არა ღირს. ახალბედას რომ უთხრა, აქ სამ-ოთხ დღეს ვშიმშილობდი, იქ ვიყინებოდი, აქ კიდევ ძლივს გადავრჩი ცოცხალიო, ის კაცი მთისკენ პირს არამც და არამც არ მიაბრუნებს. უმჯობესია არ დააშინო. წავიდეს, ნახოს და, თუ ერთხელ ავა და გაჭირვებასაც გადაიტანს, მისგან აუცილებლად კარგი მთამსვლელი დადგება.

— როცა დაოჯახდები, შენს შვილს თუ გაუშვებ მთაში?

— რატომაც არა?!

შაქრო გაბისიანის პირველი მწვერვალი ცანა იყო. მწვერვალზე ლამის ძალით წაიყვანეს. ქუთაისში, საავტომობილო ქარხანაში მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს თანამშრომელმა ქალიშვილებმა შეაგულიანეს, ბანაკ „აილამაში“ მივდივართ და შენც წამოდიო, უარზე დადგა — მთაში რა დამკარგვიაო, მაგრამ იმ ქალიშვილებმა იმდენი ჰქნეს, რომ მეკლდეურთა ვარჯიშზე მაინც წაიყვანეს. მათ მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) ავარჯიშებდათ.

მეკლდეურები, როგორც წესი და რიგია, ასვლისას თოკებით იცავდნენ ერთმანეთს. შაქრო ერთხანს აკვირდებოდა მათ ვარჯიშს. მერე როგორღაც წამოსცდა, მაგ კლდის თავზე ყოველგვარი თოკისა და დაცვის გარეშე მოვექცევიო და მოექცა კიდეც. სწორედ მაშინ იყო, ხერგიანი რომ შეუჩნდა, „აილამაში“ წამოდი, შენგან კარგი მთამსვლელი დადგებაო. შაქრო კი თავისას არ იშლიდა, კლდეები რაჭაშიც მყოფნისო. ხერგიანი უფრო ჯიუტი გამოდგა.

ეს იყო 1965 წელს.

**ა. გურასაშვილი**

**ავტორის ფოტო.**

# ნეაპოლიდან — დასავლეთ ბერლინში

**იტალიაში** საგასტროლოდ ჩამოსული მომღერალი, როგორც წესი, მოჭარბებულ მღელვარებას განიცდის. მდიდარი მუსიკალური ტრადიციების მქონე ქვეყანა, რომლის მშვენებაა საქვეყნოდ ცნობილი ლა-სკალა, მისი ტალანტისა და შესაძლებლობათა უტყუარი შემფასებელია. ეს შედარება, ჩვენი აზრით, მიესადაგება ფეხბურთელებსაც.

იტალიელ ფეხბურთის გულშემატკივართა გემოვნება რაფინირებულია, ხოლო ამ ქვეყნის ბეჭდვითი ორგანოების აზრი ფეხბურთის შესახებ — ავტორიტეტული და ყურადსაღები. ამ აზრს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა თაობის იტალიელმა ფეხბურთელებმა, დაწყებული 30-იანი წლებიდან დღემდე, მოიპოვეს ისეთი მნიშვნელოვანი პრიზები, რომლებიც კი შეიძლება დაიმსახუროს საკლუბო გუნდმა თუ ეროვნულმა ნაკრებმა, თვით ჟიულ რიმეს თასის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ძნელია გააკვირვო იტალიელი ფეხბურთის მოყვარული კარგი ფეხბურთით და რაოდენ სასიამოვნოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ სხვადასხვა მიმართულების იტალიური გაზეთები კეთილგანწყობილებას გამოხატავენ ჩვენი გუნდის — თბილისის „დინამოს" მიმართ, მაღალ შეფასებას აძლევენ მის ოსტატობას. ამ აზრს ისინი გამოთქვამდნენ, როგორც მატჩამდე უეფა-ს თასზე, ისე მის შემდეგაც.

იცვლება საერთაშორისო ვითარება, ერთ სენსაციას ცვლის მეორე, ფეხბურთის ამბებს იტალიური გაზეთების ფურცლებზე კი მუდამ საპატიო ადგილი უკავია. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ეროვნული ჩემპიონატისა და საერთაშორისო შეხვედრათა დღეებში, ეს არის ტრადიცია, რომელშიც მკაფიოდ გამოსჭვივის იტალიელთა სიყვარული ფეხბურთის მიმართ.

14 სექტემბერი, 1978 წელი. „კორიერე დელლა სერა", „მესსაჯერო", „სტამპა", „უნიტა", „მატინო", „პაეზე სერა" აქვეყნებდნენ ცნობებს ევროპის თასების გათამაშებათა შედეგების შესახებ, მაგრამ მათი ტონი არც თუ ისე ოპტიმისტურია. პრესა განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა „ტორინოს" დამარცხებას ესპანურ გუნდთან („რეალი", ხიხონი). როცა ჩვენთვის კარგად ცნობილმა „ინტერნაციონალემ" გაინაღდა გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლა კიპროსის სუსტ-გუნდთან, ჟურნალისტებმა მეტოქე ირონიით „ოჯახურ" გუნდად მოიხსენიეს (მასში თამაშობს 3 ძმა, კიდევ სხვა 3 ძმა, ბიძაშვილი, ბიძა და ძმისწული). ზემოაღნიშნულის გარდა, იტალიის პრესას მხიარულების სხვა საბაბი არ გააჩნდა, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება „ნაპოლის" გამოსვლას თბილისში. როგორც ჩვენ ვვარაუდობდით, წერდა ნეაპოლის გაზეთი „მატინო", თბილისის „დინამო" ძლიერია და ჩვენს გუნდს მცირე შესაძლებლობანი აქვს გაიკვლიოს გზა უეფა-ს თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე. სპეციალური კორესპონდენტის სერჯო ტროიზეს მისამართით უნდა ითქვას, რომ მისი რეპორტაჟი მშვიდია, პროფესიული და თავშეკავებული ტონითაა დაწერილი. იგი არ ამართლებს იტალიური გუნდის მარცხს სუბიექტური მიზეზებით, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ გუნდს არ გააჩნია თამაშის პრაქტიკა, ვინაიდან იტალიაში ამ პერიოდისთვის ჩემპიონატი ჯერ არ იყო დაწყებული.

ს. ტროიზე აღნიშნავდა თბილისის „დინამოს" დამსახურებულ გამარჯვებას, ხოტბას ასხამდა „დინამოს" მოთამაშეებს, გამოჰყოფდა ყიფიანს და შენგელიას, რომლებსაც ექსტრა-კლასის მოთამაშეებს უწოდებდა.

კორესპონდენტი ხაზს უსვამს გუნდის ძლიერებას, კარგ ტექნიკურ აღჭურვილობას, მოთამაშეთა ტალანტს, გუნდის წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად აღიარებს ტაქტიკური ორგანიზაციის მაღალ ხარისხს, მოთამაშეთა გონივრულ განლაგებას მინდორზე. ამასთან, გამოთქვამს საყვედურს თანამემამულეთა მიმართ, რომ ამ თვალსაზრისით მათ ვერაფერი დაუპირისპირეს მასპინძლებს.

ამ სტატიასთან ერთად დაბეჭდილია ინტერვიუ „ნაპოლის" ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან. მათი შეხედულებები არ ემთხვევა გაზეთ „მატინოს" და სხვა იტალიური გაზეთების შეფასებებს. ისინი ცდილობდნენ გაემკრთალებინათ „დინამოს" თამაშით გამოწვეული შთაბეჭდილება. მათი ეს პოზიცია სავსებით გასაგებია: „ნაპოლის" ფეხბურთელთათვის აუცილებელი იყო გაეღვივებინათ იმედის ნაპერწკალი ფეხბურთის მოყვარულებში, მაქსიმალურად ბევრი თაყვანისმცემელი მიეზიდათ საპასუხო მატჩზე ნეაპოლში, რათა ამ უკანასკნელთ მხარი დაეჭირათ თავიანთი გუნდისთვის და ფსიქოლოგიური გავლენა მოეხდინათ მოწინააღმდეგეზე.

პრესის მასალებიდან მაინც შესამჩნევი იყო, რომ თბილისის მატჩის შემდეგ ნეაპოლში უიმედო განწყობილება სუფევდა, ამიტომაც ნეაპოლის გაზეთები მატჩამდე დარჩენილი 2 კვირის განმავლობაში კეთილსინდისიერად ცდილობდნენ აემაღლებინათ ადგილობრივი გულშემატკივრების განწყობილება, გაეღვივებინათ ინტერესი მეორე შეხვედრისადმი. პრესა იუწყება, რომ გარდა საბჭოთა კავშირისა, რიგმა ქვეყნებმა გამოთქვეს მატჩის ტელევიზიით ნახვის სურვილი, მათ შორის... ვენესუელამაც. რამდენად სწორია ეს, ჩვენ არ ვიცით.

განმეორებითი მატჩის წინ ძალზე ბევრი მასალა მიეძღვნა თბილისის „დინამოს". მოყვანილი იყო როგორც ცალკეული მოთამაშეების, ისე მთელი გუნდის მონაცემები. იტალიური გაზეთები არა თუ არ ამდაბლებდნენ „დინამოს" შესაძლებლობებს, მის სიძლიერეს, პირიქით ხაზს უსვამდნენ მათ. ისინი მიზნად ისახავდნენ წაექეზებინათ „ნაპოლის" ფეხბურთელები, რათა ამ უკანასკნელთ მთელი ძალების მობილიზაციით გამოეგლიჯათ გამარჯვება მეტოქისთვის. ნახევარმცველ ვინაცანის ინტერვიუს ასეთი სათაური ჰქონდა: „ყურადღება: ქორიძე!". იგი ხოტბას ასხამდა ვახტანგ ქორიძის მოქმედებას, რომელიც, მისი აზრით, ფიზიკური სიძლიერითა და ბურთის ოსტატური ფლობით განსაკუთრებით საშიშია საჯარიმო მოედნის მისადგომებთან.

ბევრს წერდნენ დავით ყიფიანზე, ბეჭდავდნენ სურათებს, მისი გვარის გვერდით ყოველთვის იყო აღნიშნული, რომ იგი არის ექსტრა-კლასის ფეხბურთელი. აშკარაა, იტალიაში მას კარგად იცნობენ და იქ ჩასვლის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

გაზეთები, თუმც შეფარულად, მაგრამ „ნაპოლის" შანსებს მაინც ბუნდოვნად მიიჩნევდნენ, ამასთან ყოველმხრივ ცდილობდნენ გუნდის გამხნევებას. ცნობა თბილისის „დინამოს" დამარცხების შესახებ მოსკოვის „სპარტაკთან" დიდი ენთუზიაზმით იქნა მიღებული, განსაკუთრებით მწვრთნელ დი მარციოს მიერ, რომელიც სხვებთან შედარებით ყველაზე მეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. „დინამოს" დამარცხება მოსკოვში მან მიიჩნია იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ თბილისის გუნდი სტუმრად ნაკლებად დამაჯერებლად გამოდის, ვიდრე საკუთარ მოედანზე. იგი ხაზს უსვამდა, რომ „ნაპოლის" წარმატება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოხერხდებოდა მანუჩარ მაჩაიძის გამოთიშვა თამაშიდან და აცხადებდა, რომ აწარმოებდა ტაქტიკური სქემის შემუშავებას „დინამოს" კაპიტნის ნეიტრალიზაციისთვის, რომელსაც იგი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა.

რომის, მილანის და ტურინის გაზეთები მომავალ ორთაბრძოლას უფრო სალი თვალით უყურებდნენ და „ნაპოლის" შანსები თითქმის უიმედოდ მიაჩნდათ. იტალიის დედაქალაქის გაზეთი „რომა" წერდა: „ნაპოლის" გამარჯვება ტოლფასოვანი იქნებოდა გმირობისა და იმის ღირსი გახდებოდა, რომ ოქროს ასოებით დაბეჭდილიყო ამ კლუბის შენობის ფასადზე".

პირველი თამაშის შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, გაზეთი აღნიშნავდა, რომ იმ ფაქტორებს შორის, რომლებმაც უნდა განაპირობონ „დინამოს" საბოლოო წარმატება, ერთ-ერთი მთავარია მოთამაშეთა ხასიათის სიმტკიცე, ბურთის ოსტატური ფლობის წყალობით თამაშის ტემპის წარმართვა სასურველი გზით. გაზეთი წერდა: „ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ნაპოლი" ხვდება ევროპული მნიშვნელობის გუნდს".

და აი, შედგა განმეორებითი მატჩი, ყველაფერი ნათელი გახდა. იტალიურმა გაზეთებმა ერთხმად აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის პრეტენდენტმა ფეხბურთის ყველა კომპონენტში დაჯაბნა იტალიის ერთ-ერთი მოწინავე გუნდი.

საინტერესოა იტალიის ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთის „უნიტას" აზრი ნეაპოლის მატჩის შესახებ. მიმომხილველი მარინო მარკუარტი წერს, რომ იტალიის გუნდს ვერაფერს უსაყვედურებ, ვინაიდან მან ყველაფერი გააკეთა გამარჯვების მისაღწევად. გაზეთს მიაჩნია, რომ წაგების მიუხედავად, „ნაპოლი" უდავო აღმავლობის გზაზეა და მომავალს იმედიანად უნდა შესცქეროდეს. რაც შეეხება „დინამოს", განაგრძობს გაზეთი, მან დაამტკიცა, რომ ეს არის ძლიერი და გამოცდილი გუნდი, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა უეფა-ს თასის გათამაშების მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება. გაზეთი კარგ შეფასებას აძლევს „დინამოს" მცველებს, რომლებიც თინჯად, ორგანიზებულად იგერიებდნენ შეტევებს, მაყურებლის რეაქცია მათზე გავლენას არ ახდენდა.

გაზეთი „მატინო" ირონიულად წერდა, რომ მატჩის მსაჯი ა. მილიანი (აღმოჩნდა, რომ ფრანგი არბიტრი წარმოშობით იტალიელია) მატჩის ბოლო წუთებზე გადაძლია ეროვნულმა გრძნობამ, რის შედეგადაც „დინამოს" კარში საეჭვო პენალტი დანიშნა. თუ არა ეს გარემოება, აცხადებს გაზეთი, საეჭვო იყო „ნაპოლის" თავი დაეღწია წაგებისთვის განმეორებით მატჩშიც.

ნ. ბაბაშვილი.

## ფეხბურთი

### პირველი ლიგა

16 ოქტომბერს შედგა მე-17 ტურის გამოტოვებული მატჩი სა[illegible] ფეხბურთში I ლიგის გუნდებს შორის. ლვოვის [illegible] იაროსლავლის „შინიკი" და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

---

### ჩემპიონატები, მატჩები, სიახლენი

**გდრ**

ასეთი რამ დიდი ხანია არ მომხდარა ამ ქვეყნის ჩემპიონატებში: 7 ტურის შემდეგ ბერლინის „დინამოს" 7 მოგება აქვს, მაგრამ ორ უახლოეს მდევარს უსწრებს სულ 1 ქულით.

VII ტურში ბერლინელებმა მიიღეს როსტოკის „ჰანზა" და ძნელი გამარჯვება მოიპოვეს. დრეზდენის „დინამომ" მოულოდნელად დიდ გამარჯვებას მიაღწია ლაიფციგის „ლოკომოტივთან" — 6:0 და 13 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა აქვს იენის „კარლ ცაისს", რომელმაც ერფურტში ანგარიშით 2:1 მოუგო ადგილობრივ „როტვაისს".

**პოლონეთი**

ლიდერი — „ვიძევი" XI ტურში საკუთარ მინდორზე ლოძში შეხვდა ერთ-ერთ უახლოეს მდევარს — „რუხს" (ხოჟუვი). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0 და ბრძოლა ლიდერთა ჯგუფში უკიდურესად გამწვავდა.

ახლა „ვიძევს" 16 ქულა აქვს. „რუხს" და „ლეგიას" (ვარშავა) — 15-15, ოპოლეს „ოდრას" — 14. ტურის დიდი მოულოდნელობა იყო ჩემპიონის — „ვისლას" სასტიკი მარცხი (1:4) საკუთარ მინდორზე ლკს-სთან.

**ჩეხოსლოვაკია**

კვლავ ჩინებულად გამოდის პრაღის „დუკლა". VII ტურში მან სტუმრად ფრედ ითამაშა ტრნავის „სპარტაკთან" — 0:0 და ახლა 11 ქულა აქვს. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება სხვა „დუკლა", ბ. ბანსკა-ბისტრიცედან, რომელმაც დაამარცხა ტრენჩინის „იედნოტა". ასევე 9 ქულა მოაგროვა ოსტრავის „ბანიკმა".

ჯერჯერობით მარცხიანად თამაშობს ჩემპიონი — „ზბროიოვკა" (ბრნო), რომელსაც მხოლოდ 6 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში X ადგილზეა.

**რუმინეთი**

8 ტურის შემდეგ 13 ქულით წინ არის დებიუტანტი — „ბაია" (მარე). ბოლო მატჩი სტუმრად მან ფრედ (0:0) დაამთავრა ბუზაუს „გლორიასთან". ჩემპიონმა — ბუქარესტის „სტეაუამ" ბოლო შეხვედრა წააგო თავისივე ქალაქის „სპორტულ სტუდენტეშთან" — 0:1 და ახლა 12 ქულით II ადგილზეა.

## ფოტოთვალით განვლილ შეჯიბრებებზე

**როგორც** ცნობილია, საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა ევროპის XII ჩემპიონატი, რომელიც პრაღაში გაიმართა. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა ექვსდღიანი პაექრობის შემდეგ ოქროს 13, ვერცხლის 12 და ბრინჯაოს 11 მედალი მოიპოვეს.

სურათზე: სსრ კავშირის ქალთა ნაკრები — 4×100 მეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებული. მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. ანისიმოვა, ლ. სტოროჟკოვა, ლ. კონდრატიევა და ლ. მასლაკოვა.



* * *

**ამას** წინათ რატომკაში (მინსკის გარეუბანი) გაიმართა საბჭოთა კავშირის გუნდური ჩემპიონატი ცხენოსნობაში. გამარჯვება მოიპოვეს „ფახთაქორის" (უზბეკეთის სსრ) სპორტსმენებმა. საველე გამოცდაში უძლიერესი იყო ი. სალნიკოვი („უროჟაი"), რომელსაც სურათზე ხედავთ.



## ჭადრაკი

### ფეხბურთი და ჭადრაკი

ჰოლანდიის ნაკრების მეორე მწვრთნელს (ამჟამად უფროს მწვრთნელს) იან ცვარტკრუზს არგენტინის „მატალიების" დროს გუნდის ფსიქოლოგიურად მომზადება ევალებოდა. ისიც ადგა და ნაკრების მოთამაშეებს შორის გაუთავებლად ატარებდა საჭადრაკო ტურნირებს.

— მე შევნიშნე, რომ, რაც უფრო კარგად თამაშობს კაცი ჭადრაკს, უფრო დარწმუნებით უჭირავს თავი ფეხბურთის მინდორზე,—უთხრა მან ჟურნალისტებს.

— დიახ, მაგრამ, რომელი იმარჯვებდა ამ გაუთავებელ საჭადრაკო ტურნირებში?

ცვარტკრუზმა მცირე პაუზის შემდეგ მიუგო:

— მიგელ პანსა, ჩვენ რომ გვემსახურებოდა, იმ ოფიციანტის 8 წლის ბიჭი.

## ევერესტს მესამე ქალი უქრევს

**ნეპალის** დედაქალაქ კატმანდუდან საზღვარგარეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ პოლონელმა ქალმა ვანდა პიტკევიჩმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალის — ევერესტის (8848 მ) დასაპყრობად 7985 მეტრის სიმაღლეზე უკანასკნელი ბანაკი დატოვა და გადამწყვეტი იერიში დაიწყო.

პიტკევიჩი 34 წლისაა. იგი ვარშაველი ინჟინერია. ექსპედიციაში პიტკევიჩის გარდა კიდევ სამი ქალი და ორი შერპია.

თუ პიტკევიჩის ცდა წარმატებით დამთავრდა, იგი მესამე ქალი გახდება, რომელმაც დედამიწის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

(საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-50-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-58-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-51; [illegible] — 93-97-55; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.



საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02255